ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-922

ქ. თბილისი

9.08.2013

2013-2014 სასწავლო წელს ჩარიცხული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მესამე პუნქტისა და ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, 2013 წლის 30 ივლისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს №21 სხდომის ოქმის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, ლელა ხომერიკის 2013 წლის 07 აგვისტოს წარდგინების (რეგისტრ.№03-12179) საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2013-2014 სასწავლო წელს ჩარიცხული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს;

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები დანართის თანხლებით მიაწოდოს აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს, საფინანსო სამმართველოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს, სამდივნოს;

4. დაევალოს უნივერსიტეტის სამდივნოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზურაბ ჯავახიშვილი